არქივი დაამუშავა და ელექტრო ვერსია შექმნა

სოფო გოგუაძემ

(2021 წ.)

იპოლიტე ხვიჩია

იპოლიტე ხვიჩია დაიბადა 1910 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ კონტუათში, გლეხის ოჯახში. სოფლის სკოლაში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის კვების ტექნიკუმში, საგეგმო განხრით, რომელიც 1933 წელს დაამთავრა.

სოფელში სწავლის დროს მომავალი კომიკოსი მსახიობი დრამატულ წრეში მუშაობდა, იგი სცენაზე პირველად სასკოლო წარმოდგენაში გამოვიდა. 1927 წელს იპ. ხვიჩია ხელოვნების კავშირის წევრად აირჩიეს.

იპ. ხვიჩიამ 1934 წელს წულუკიძის თეატრში დაიწყო მუშაობა და ამავე წლიდან ჩაირიცხა მსახიობად. 1938 წელს კი იგი ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობი გახდა.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის გამო იპ. ხვიჩიას მიღებული აქვს მედალი "ამიერ კავკასიის დაცვისთვის" 1941-45 წლებში დიდ სამამულო ომში "მამაცური შრომისთვის", იგი ასევე დაჯილდოვებულია: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ორი საპატიო სიგელით და შემოქმედებით დარგში საკავშირო ხელოვნების სამმართველოს მიერ.

მან განასახიერა ისეთი როლები, როგორციაა: გერვასი – შ. დადიანის "ნაპერწკლიდან", მაქსიმელა – შ. დადიანის "ნინოშვილის გურია", ყვარყვარე და ქუჩარა – პ. კაკაბაძის "ყვარყვარე თუთაბერი", ერასტი – კ. ბუაჩიძის "ვარდი ასფურცლოვანი", გიგო – ვ. გაბისკირიას "უფსკრულთან", ტიტიკო – ვ. გაბისკირიას "გაზაფხულის დილა", ტრუფალდინო – კ. ოლდონი "ორი ბატონის მსახური", მენგო – ლოპე დე-ვეგასის "ცხვრის წყარო" და სხვ.

იპ. ხვიჩია მონაწილეობას იღებდა კინო-ფილმებში, სადაც მას შესრულებული აქვს კომიკური როლები: კომენდანტი – რ. ჩხეიძის "ჩვენი ეზო", ალმასხანი – შ. მანაგაძის "საბუდარელი ჭაბუკი", იპ. ნემსაძე – შ. მარტაშვილისა და ზ. გუდავაძის "მანანა", სანდრო – გ. წულაიასა და ნ. ნენოვას "წარსული ზაფხული", კუჭკუჭი – გ. მგელაძის "ბურთი და მოედანი", ნიკიფორე – რ. ჩხეიძის "განძი", მელიტონი – ნ. სანიშვილის "თოჯინები იცინიან", სანდრო ქორიძე – შ. მარტაშვილის "თხუნელა", ბეგლარე – ლ. ღოღობერიძის "მე ვხედავ მზეს", მერაბი – ნ. სანიშვილის "შეხვედრა მთაში", ვარლამი – ნ. მჭედლიძის "პირველი მერცხალი", სილიბისტრო – თ. ფალავანდიშვილისა და ი. მედვედის "რაჭა, ჩემო სიყვარულო". ცალკე აღნიშვნის ღირსია, იპ. ხვიჩიას მიერ გრ. ლორთქიფანიძისა და გ. გაბესკირიას ფილმ "დათა თუთაშხიაში" შესრულებული კაჟა ბულავას ტრაგი-კომიკური როლი.

მსახიობი, რომელმაც თავისი ინდივიდუალურობით, განუმეორებელი ნიჭითა და სხვადასხვა ჟანრის უზადო როლების შესრულებით დაგვამახსოვრა თავი,

იპოლიტე ხვიჩია 1985 წლის 1 თებერვალს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იპოლიტე ხვიჩიას პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფია

1. იპოლიტე ხვიჩიას ავტობიოგრაფია.
   1940 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

2. იპოლიტე ხვიჩიას ავტობიოგრაფია.
   1954 წ. 4 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

3. იპოლიტე ხვიჩიას ავტობიოგრაფია.
   1954 წ. 15 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

4. იპოლიტე ხვიჩიას ავტობიოგრაფია.
   1962 წ. 25 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

კადრების აღრიცხვის ფურცელი და საკვალიფიკაციო ფურცელი, სააღრიცხვო ბარათი, ცნობარი

5. იპოლიტე ხვიჩიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1940 წ. 23 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

6. იპოლიტე ხვიჩიას სცენის მუშაკთა შემოქმედებითი მუშაობის აღრიცხვის პირადი ბარათი.
   1950 წ. 24 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 2 გვ.

7. იპოლიტე ხვიჩიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1951 წ. 30 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

8. იპოლიტე ხვიჩიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1954 წ. 3 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

9. იპოლიტე ხვიჩიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. (ერთვის ფოტო)
   1954 წ. 15 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

10. იპოლიტე ხვიჩიას საკვალიფიკაციო ფურცელი.

1954 წ. 6 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

11. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას ცნობარი. (ერთვის ფოტო)
1954 წ. 17 ნოემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 3 გვ.

დახასიათება

12. ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორ მ. მეფარიშვილის მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას დახასიათება.
1954 წ. 12 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – მ. მეფარიშვილი. 1 გვ.

13. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის დირექციის მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას (ყვინჩია) დახასიათება. 1 გვ.
1954 წ. 15 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერეს – პ/ბიუროს მდივანი გრ. ნაცვლიშვილი. 1 გვ.

14. ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორ მ. მეფარიშვილის მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას დახასიათება.
1954 წ. 19 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – მ. მეფარიშვილი. 1 გვ.

15. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას დახასიათება.
1954 წ. 4 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – მ. მეფარიშვილი; მთავარი რეჟისორი – ვ. ყუშიტაშვილი 1 გვ.

ცნობა

16. საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოს მიერ გაცემული იპოლიტე ხვიჩიას ცნობა, მის მიერ დაწერილ სკეჩზე "მთვარეული ანუ ლუნატიკი" უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.
1967 წ. 30 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. ხელს აწერს – იპ. ხვიჩია. 1 გვ.

სიები

17. იპოლიტე ხვიჩიას თეატრსა და კინოში შესრულებული როლების სია. უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ლურჯი ფანქარი. ფანქარი. 4 გვ.

18. იპოლიტე ხვიჩიას შესრულებული როლების სია.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.